მიღებულია განათლების კომიტეტის მიერ
20.02 2018 წელი
ოქმი N137

# განგრძობითი განათლების შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები

## 1. შესავალი

განგრძობითი განათლების მართვის პოლიტიკა და პროცედურები მომზადებულია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ პროფესიონალი/სერტიფიცირებული ბუღალტრების სტატუსის მქონე წევრი პირებისათვის, შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, რაც ემყარება იმ პრინციპს, რომ ყოველი პროფესიონალი ბუღალტრის მოვალეობაა განავითაროს და შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენტურობა, რომელიც აუცილებელია კლიენტების, დამქირავებლებისა და სხვა აქციის მფლობელებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად.

ბაფის განგრძობითი განათლების შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები ეფუძნება განგრძობითი განათლების სტანდარტის განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს და .ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტების მოთხოვნებს.

## 2. ზოგადი პოლიტიკა

### 2.1. საერთო პრინციპები

ბაფი, განგრძობითი განათლების შიდა პოლიტიკით, სისტემებითა და პროცედურებით სერტიფიცირებული წევრებისათვის:

ა) აწესებს პროფესიონალი ბუღალტრების განგრძობითი სწავლების ვალდებულებას;

ბ) უზრუნველყოფს პროფესიული შესაძლებლობების განვითარების გაგრძელების ხელმისაწვდომობას და რესურსებს მის წევრებისათვის;

გ) საზოგადოების ინტერესის დაცვის უზრუნველსაყოფად აწესებს წევრების მიერ პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებისა და განვითარების განმსაზღვრელ პირობებს;

დ) აკონტროლებს პროფესიონალი ბუღალტრების პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებასა და განვითარების გაგრძელებას.

## 3. სისტემები და პროცედურები

### 3.1. განგრძობითი სწავლების ხელშეწყობა

- ბაფი ხელს უწყობს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის კომპეტენტურობის უწყვეტი სრულყოფისა და განგრძობითი სწავლების ვალდებულების მნიშვნელობის განვითარებას.
- ყველა პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია აიმაღლოს და შეინარჩუნოს თავისი პროფესიონალური კომპეტენტურობა იმ დონეზე, რომელიც შესაბამისი იქნება მათი სამუშაოს ბუნებისა და პროფესიონალური ვალდებულების. ეს ვალდებულება ეხება ყველა პროფესუინალ ბუღალტერს, მიუხედავდ იმისა ისინი დაკავებული არიან ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ ცფეროში თუ სხვა სფეროში.
- პროფესიული განვითარების გაგრძელება არის გაფართოება განათლების პროცესისა, რომელმაც განაპირობა პროფესიონალ ბუღალტრად კვალიფიცირება. კვალიფიცირების მომენტისათვის მიღწეული პროფესიული ცოდნა, პროფესიული გამოცდილება და პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა აგრძელებს ინდივიდის პროფესიონალური ქცევისა და ვალდებულებების შესაბამისად განვითარებას და სრულყოფას.
- ბაფი თვითონ უზრუნველყოფს პროფესიონალი ბუღალტრებისათვის პროფესიული განვითარების გაგრძელების შესაფერის პროგრამას და აადვილებს სხვების მიერ შეთავაზებული პროგრამების ხელმისაწვდომობას.

### 3.2. პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნა

**ბაფი მოითხოვს, რომ ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა განივითაროს და შეინარჩუნოს მისი სამუშაო ადგილისა და მოვალეობის შესაფერისი და შესაბამისი კომპეტენტურობა. კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა აკისრია პირველ რიგში თითოეულ პროფესიონალ ბუღალტერს.**

- პროფესიული განვითარების გაგრძელება თანაბრად აუცილებელია ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის, მოუხედავად ბიზნესის სახისა და სიდიდისა, სადაც ისინი მუშაობენ, იმიტომ, რომ:
  - ა) ყველა პროფესიონალ ბუღალტერს აკისრია თავის კლიენტზე, დამქირავებელსა და შესაბამის კაპიტალის მფლობელზე ზრუნვის ეთიკური ვალდებულება და წარმოეშობა ამ ვალდებულების კომპეტენტური მანერით შესრულების დემონსტრირების აუცილებლობა;
  - ბ) პროფესიონალ ბუღალტრებს გააჩნია მნიშვნელოვანი მდგომარეობა (ადგილი) ყველა სფეროში, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგება, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნება;
  - გ) ყველა სფერო ექვემდებარება გარემოს სწრაფ ცვალებადობას და შესაბამისად, წარმოიშობა სტრატეგიული ან ბიზნეს გეგმის შეცვლილი გარემოსადმი მისადაგების მოთხოვნა, რაშიც ორგანიზაციის იმედია პროფესიონალი ბუღალტრის პროფესიული კომპეტენტურობა.
- პროფესიონალი/სერტიფიცირებული ბუღალტერი, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია ყოველი 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 120 საათი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული).

  სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია, 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე, ყოველ წელს გაიაროს, სულ მცირე, შემოწმებადი 30-საათიანი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული) განგრძობითი განათლება. დადგენილი

სამწლიანი თანმიმდევრული პერიოდის ათვლა იწყება სტატუსის მინიჭების მომდევნო კალენდარული წლიდან.

### 3.3. მონიტორინგი და სანქცია

- ბაფი ახორციელებს სისტემატიურ შემოწმებას პროფესიონალი/სერტიფიცირებული ბუღალტრების მიერ პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნების შესრულებაზე და ადგენს შესაბამის სანქციას მოვალეობის შეუსრულებლობაზე.
- შემოწმების მიზანია დადგინდეს თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ბაფის წევრები პროფესიული კომპეტენციის განვითარებასა და შენარჩუნებას.
- შემოწმება ემყარება ბაფის განათლების კომიტეტის ხელთარსებულ ინფორმაციას პროფესიონალი ბუღალტრის მიერ დასწრებაზე დაფუძნებული მიდგობით განგრძობითი სწავლებაში მონაწილეობის შესახებ ან პროფესიონალი ბუღალტრის მიერ წარდგენილ ანგარიშს შედეგზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელების შესახებ.
- კონტროლის უზრუნველსაყოფად ბაფი პროფესიონალი ბუღალტრებისაგან მოითხოვს ანგარიშს პროფესიული განვითარების გაგრძელებასთან დამოკიდებულების შესახებ. ასეთი ანგარიშის წარდგენა არ ევალება პროფესიონალ ბუღალტერს, რომელიც დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში მონაწილეობას იღებს ბაფის მიერ ორგენიზებულს სასწავლო სემინარში.
- სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელება მხოლოდ მაშინ მუშაობს ეფექტურად, როდესაც მოხდება სავალდებულო პროფესიული განვითარების აუცილებლობაში პროფესიონალი ბუღალტრის დარწმუნება, ან თუ პროფესიონალი ბუღალტერი არ ემორჩილება სავალდებულო მოთხოვნას, მის მიმართ გამოყენებული იქნება სანქცია.
- სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი დაუმორჩილებელი პროფესიონალი ბუღალტრის მიმართ პირველი ნაბიჯი ითვალისწინებს მიმართვას გონივრულად დასაშვებ ვადაში სავალდებულო მოთხოვნისათვის დამორჩილების მოთხოვნით. აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა ძალიან მკაცრი სანქციის მიღების დროს.
- ბაფის წევრობიდან გარიცხვა შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ პროფესიონალი ბურალტრის მიმართ, რომელიც, ბაფის მიმართვის შემდეგ ისევ გააგრძელებს პროფესიული განვითარების ვალდებულების შესრულების იგნორირებას.

## 4. განგრძობითი განათლების ფორმები

1. განგრძობითი განათლების ფორმებია:

ა) შემოწმებადი განგრძობითი განათლება;

ბ) არაშემოწმებადი განგრძობითი განათლება.

2. შემოწმებადი განგრძობითი განათლებაა:

ა) ბაფის მიერ ორგანიზებული განგრძობითი განათლების პროგრამებში მონაწილეობა;

ბ) სწავლა სამუშაო ადგილზე (აუდიტორული ფირმის პოლიტიკის ფარგლებში);

გ) პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევა, პროფესიული, ტექნიკური ან აკადემიური სახის სტატიის/ნაშრომის გამოქვეყნება ან წიგნის გამოცემა;

დ) პროფესიული სასერტიფიკაციო გამოცდების განმეორებით ჩაბარება;

ე) ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტრული აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების ან/და ეკონომიკის მიმართულებით მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვება;

ვ) განგრძობითი განათლების პროგრამის სწავლებაში მონაწილეობა (ლექტორობა, ინსტრუქტორობა);

ზ) პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონფერენციებში მონაწილეობა.

3. არაშემოწმებადი განგრძობითი განათლებაა:

ა) პროფესიასთან დაკავშირებით ბრიფინგებზე ან შესაბამის განხილვებში მონაწილეობა;

ბ) პროფესიული ლიტერატურის ან ჟურნალების გაცნობა, რაც პიროვნებას დაეხმარება პროფესიული როლის შესრულებაში;

გ) პროფესიულ განვითარებაში დახმარება სხვა სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის ან პირიქით.

**5. განგრძობითი განათლების მოთხოვნების ჩათვლა**

ბაფის წევრი პროფესიონალი/ სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია, მიიღოს განგრძობითი განათლების მოთხოვნის ჩათვლა:

ა) არაუმეტეს შემოწმებადი 30 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, სტუდენტის აქტიური სტატუსის პერიოდში ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში, ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტრული აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების ან/და ეკონომიკის მაგისტრის/დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის;

ბ) არაუმეტეს შემოწმებადი 30 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით ყოველწლიურად, პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების პროგრამის სწავლების პროცესში, განგრძობითი განათლების პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (თემატიკაში) ლექტორობით/ ინსტრუქტორობით;

გ) არაუმეტეს შემოწმებადი 40 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ გამოაქვეყნა ტექნიკური, პროფესიული ან აკადემიური ხასიათის სტატიები, სამეცნიერო ნაშრომი ან გამოსცა წიგნი ან ჩაატარა პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევა და რომლებიც შეფასებულია რეცენზენტის მიერ;

დ) არაუმეტეს 30 სწავლის ეკვივალენტური ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ განმეორებით ჩააბარა პროფესიული სასერტიფიკაციო გამოცდა;

ე) არაუმეტეს 10 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ პირი ადასტურებს პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონფერენციაში მონაწილეობას.

წევრი სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია ბაფს მიმართოს დამსაქმებელ აუდიტორულ ფირმაში გავლილი სასწავლო ღონისძიებების ჩათვლის მოთხოვნით.

**5.1. აუდიტორულ ფირმაში გავლილი სასწავლო ღონისძიებების ჩათვლა**

პირი განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულების დადასტურებისათვის უფლებამოსილია ბაფს წარუდგინოს დამსაქმებელ აუდიტორულ ფირმაში შესაბამისი სასწავლო ღონისძიებების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (სწავლის ერთეული (საათი), სასწავლო ღონისძიების დასახელება, ნომერი და შინაარსი).

ბაფი უფლებამოსილია ჩაუთვალოს სერტიფიცირებულ ბუღალტერს სამუშაო ადგილზე (აუდიტორული ფირმის პოლიტიკის ფარგლებში) გავლილი სასწავლო ღონისძიებების (ტრენინგის, სემინარის, ელექტრონული სწავლების და ა.შ) შესაბამისი სწავლის ერთეული (საათი) განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულებად.

**განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარება**

1. პროფესიული ორგანიზაციის მიერ წარდგენილ განგრძობითი განათლების პროგრამას ამ სტანდარტთან შესაბამისობის საფუძველზე აღიარებს სამსახური.

2. განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების მიზნით, სამსახურს უნდა წარედგინოს განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს განგრძობითი განათლების პროგრამა.

3. განგრძობითი განათლების პროგრამაში, მისი განხორციელების პროცესში ან გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრა.

4. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრამდე წარუდგინოს სამსახურს განცხადება განახლებული განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების მოთხოვნით.

5. პროფესიული ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ამ სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამსახური უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესში ჩართოს შესაბამისი სფეროს ექსპერტები.

## <u>3. გამოცდის მომზადების პოლიტიკა</u>

### 3.1. ზოგადი პრინციპი

სასერტიფიკაციო პროგრამის ფარგლებში გამოცდები ტარდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული ბაფის საგამოცდო პროცესის შესაბამისად.

ტესტების შემუშავებისას გაითვალისწინება მათი საიმედოობის, ვალიდურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საკმარისობის საკითხები. ქვემოთ აღწერილია შეფასების ხუთი პრინციპის არსი:

განათლების კომიტეტი ტესტის სტრუქტურის განსაზღვრისა და ტესტის შემუშავებისას ხელმძღვანელობს შემდეგი კონცეპტუალური საკითხებით:

- ტესტირების მიზნები;
- შეფასების მიდგომა;
- კითხვების ტიპების შერჩევა;

- ტესტირების მოცულობა;
- გამოცდის ვარიანტები; და
- ტესტირების ფარგლები.

თითოეულ საკითხზე ბაფის პოლიტიკა ქვემოთ არის განხილული.

და სტანდარტებში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე ასახული იქნება სასწავლო პროგრამასა და წიგნებში.

**პროფესიული განვითარების გაგრძელება: განგრძობითი სწავლების პროგრამა და პროფესიული კომპეტენციის განვითარების გაგრძელება**

**სტანდარტის მიზანი**

1. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, რომ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი):
   ა) აწესებს პროფესიონალი ბურალტრების განგრძობითი სწავლების ვალდებულებას;
   ბ) უზრუნველყოფს პროფესიული შესაძლებლობების განვითარების გაგრძელების ხელმისაწვდომობას და რესურსებს მის წევრებისათვის;
   გ) საზოგადოების ინტერესის დაცვის უზრუნველსაყოფად აწესებს წევრების მიერ პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებისა და განვითარების განმსაზღვრელ პირობებს;
   დ) აკონტროლებს პროფესიონალი ბუღალტრების პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებასა და განვითარების გაგრძელებას.
2. ეს სტანდარტი ემყარება იმ პრინციპს, რომ ყოველი პროფესიონალი ბურალტრის მოვალეობაა განავითაროს და შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენტურობა, რომელიც აუცილებელია კლიენტების, დამქირავებლებისა და სხვა აქციის მფლობელებისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების გასაწევად.

**შესავალი**

3. სტანდარტი ადგენს, რომ ორგანიზაციის წევრი ასრულებს პროფესიული განვითარების გაგრძელებას (**პგგ**), როგორც პროფესიონალი ბუღალტრის ხანგრძლივი წევრობის კომპონენტის შემადგენელ მოთხოვნას. ასეთ მოთხოვნას წვლილი შეაქვს პროფესიის მიზნის განხორციელებაში - უზრუნველყოს მაღალხარისხიანი მომსახურება საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
4. სტანდარტი ნერგავს **პგგ**-ის სათანადო (რელევანტურ), შემოწმებად და ცოდნის მისაღები მოქმედებისა და შედეგის შეფასებად კონცეფციას.
5. პგგ დამოკიდებულია მოქმედებებზე ცოდნის მისაღებად, რომელიც პროფესიონალ ბუღალტერს უნვითარებს და უნარჩუნებს უნარს იმოქმედოს საქმის ცოდნით პროფესიული გარემოს ფარგლებში.
6. ცოდნა, რომელიც საჭიროა პროფესიონალი ბუღალტრის სახით ფუნქციონირებისათვის საზოგადოებრივ პრაქტიკაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში, განათლებასა და საჯარო სექტორში, ფართოვდება და იცვლება მაღალი ტემპით. პროფესიონალი ბუღალტრების წინაშე დგას გაზრდილი ცოდნისა და გამოცდილების მოლოდინი. ისინი და მათთან ერთად, ბაფ-ი დგას შიდა კონტროლის ხარისხის, ხელმძღვანელების, ფინანსური

ანგარიშგებისა და დამოუკიდებელი აუდორების უპრეცენდენტო გამომცდელი მზერის წინაშე. ეს ზეწოლა ეხება როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის პროფესიონალ ბურალტრებს. გარდა ამისა, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების აუცილებლობამ ყველა ტიპის ობიექტებში წარმოშვა დამატებითი შტრიხი პროფესიონალი ბუღალტრის როლსა და მოვალეობებში. პროფესიონალ ბუღალტრებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ყველა სექტორის საქმიანობაში. ეს მოლოდინი რომ გაამართლოს პროფესიონალმა ბურალტერმა, უკიდურესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია პროფესიული კომპეტენტურობის ხანგრძლივი განვითარება და განგრძობითი სწავლა.

7. პროფესიული განვითარების გაგრძელება, თავისთავად, არ უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ ყველა წევრი ყოველთვის შეასრულებს მაღალი ხარისხის პროფესიულ მომსახურებას. პროფესიული განვითარების გაგრძელება უფრო უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებას. იგი განაპირობებს ცოდნის გამოყენებას პროფესიული წინდახედულობითა და მიუკერძოებელი დამოკიდებულებით. ასევე არ არსებობს გარანტია, რომ პროფესიული განვითარების გაგრძელების პროგრამაში მონაწილე ყველა პირი მიიღებს სარგებელს ამ პროგრამიდან, ინდივიდების განსხვავებული ქმედებისა და სწავლის უნარის გამო. თუმცა ცხადია, რომ წევრებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მათი სამუშაო ადგილის მოთხოვნების შესაფერისი უახლესი ტექნიკური და ზოგადი ცოდნა, არ ექნებათ პროფესიული მომსახურების საქმის ცოდნით უზრუნველყოფის უნარი. ამიტომ, პროფესიული განვითარების გაგრძელების პროგრამაში მონაწილე ადამიანებისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობის მიუხედავად, პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნა მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად.

**განგრძობითი სწავლების ხელშეწყობა**

8. ბაფი ხელს უწყობს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის კომპეტენტურობის უწყვეტი სრულყოფისა და განგრძობითი სწავლების ვალდებულების მნიშვნელობის განვითარებას.
9. ყველა პროფესიონალი ბუღალტერი ვალდებულია აიმაღლოს და შეინარჩუნოს თავისი პროფესიონალური კომპეტენტურობა იმ დონეზე, რომელიც შესაბამისი იქნება მათი სამუშაოს ბუნებისა და პროფესიონალური ვალდებულების. ეს ვალდებულება ეხება ყველა პროფესუინალ ბუღალტერს, მიუხედავდ იმისა ისინი დაკავებული არიან ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ ცფეროში თუ სხვა სფეროში.
10. განგრძობითი სწავლების პროცესი იწყება პროფესიონალ ბუღალტრად საკვალიფიკაციო პროგრამის გაგრძელებით. პროფესიული განვითარების გაგრძელება არის გაფართოება განათლების პროცესისა, რომელმაც განაპირობა პროფესიონალ ბურალტრად კვალიფიცირება. კვალიფიცირების მომენტისათვის მიღწეული პროფესიული ცოდნა, პროფესიული გამოცდილება და პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა აგრძელებს ინდივიდის პროფესიონალური ქცევისა და ვალდებულებების შესაბამისად განვითარებას და სრულყოფას.
11. ბაფი თვითონ უზრუნველყოფს პროფესიონალი ბუღალტრებისათვის პროფესიული განვითარების გაგრძელების შესაფერის პროგრამას და აადვილებს სხვების მიერ შეთავაზებული პროგრამების ხელმისაწვდომობას.

**პროფესიული განვითარების გაგრძელების ვალდებულება ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის**

12. **ბაფი მოითხოვს, რომ ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა განივითაროს და შეინარჩუნოს მისი სამუშაო ადგილისა და მოვალეობის შესაფერისი და შესაბამისი კომპეტენტურობა. კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობა აკისრია პირველ რიგში თითოეულ პროფესიონალ ბუღალტერს.**
13. პროფესიული განვითარების გაგრძელება თანაბრად აუცილებელია ყველა პროფესიონალი ბუღალტრისათვის, მოიხედავად ბიზნესის სახისა და სიდიდისა, სადაც ისინი მუშაობენ, იმიტომ, რომ:
    ა) ყველა პროფესიონალ ბუღალტერს აკისრია თავის კლიენტზე, დამქირავებელსა და შესაბამის კაპიტალის მფლობელზე ზრუნვის ეთიკური ვალდებულება და წარმოეშობა ამ ვალდებულების კომპეტენტური მანერით შესრულების დემონსტრირების აუცილებლობა;

    ბ) პროფესიონალ ბუღალტრებს გააჩნია მნიშვნელოვანი მდგომარეობა (ადგილი) ყველა სფეროში, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგება, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნება;

    გ) ყველა სფერო ექვემდებარება გარემოს სწრაფ ცვალებადობას და შესაბამისად, წარმოიშობა სტრატეგიული ან ბიზნეს გეგმის შეცვლილი გარემოსადმი მისადაგების მოთხოვნა, რაშიც ორგანიზაციის იმედია პროფესიონალი ბუღალტრის პროფესიული კომპეტენტურობა

**პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი მიდგომა**

14. პროფესიული განვითარების გაგრძელების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს პროფესიონალ ბუღალტრებს პროფესიული კომპეტენციის განვითარებით უზრუნველყონ საზოგადოების ინტერესების შესაბმისად მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევა. პროფესიული განვითარების გაგრძელების მისაღწევად ბაფი გამოიყენებს ორ მიდგომას. კერძოდ:
    ა) დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომას - რომელიც ადგენს წსავლების ღონისძიების განსაზღვრულ მოცულობას, რომელიც განიხილება კომპეტენტურობის სათანადოდ განმავითარებლად და შემნარჩუნებლად;

    ბ) შედეგზე დაფუძნებული მიდგომას - რომელიც პროფესიონალი ბუღალტრებისაგან მოითხოვს შედეგის მიხედვით იმის დემონსტრირებას, რომ ისინი ინვითარებენ და ინარჩუნებენ პროფესიულ კომპეტენტურობას;

15. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაექვემდებარება პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ვერ მოახდენს პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების დემონსტრირებას შედეგზე დაფუძნებული მიდგომით.
16. **დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაქვემდებარებულ პროფესიონალი ბუღალტერს მოეთხოვება ყოველწლიურად დაამთავროს ყველაზე მცირე 30 საათიანი სასწავლო საუდიტორიო ციკლი (სემინარი).**
17. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელების უზრუნველსაყოფად ბაფი მსურველი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის აწყობს ორგანიზებულ სემინარს წელიწადში ერთხელ.
18. პროფესიონალმა ბუღალტერმა შეიძლება დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარება გააგრძელოს სხვა ეკვივალენტურ სასწავლო ციკლში მონაწილეობით. სასწავლო ციკლის ეკვივალენტურობას ადგენს ბაფის განათლების

კომიტეტი პროფესიონალი ბუღალტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

19. **შედეგზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელებას დაქვემდებარებული პროფესიონალი ბუღალტრებისაგან ბაფი მოითხოვს, რომ მოახდინონ სათანადო კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების პერიოდული დემონსტრირება შესაბამისი მტკიცებულებით, რომელიც:**

    **ა) მიუკერძოებლად არის დამოწმებული კომპეტენტური წყაროს მიერ; და**

    **ბ) გონივრულად გამოყენებადია შეფასების კომპეტენტური მეთოდისათვის.**

20. შედეგზე დაფუძნებული სისტემისათვის კომპეტენტურობის განვითარების ან შენარჩუნების ობიექტური შეფასება არის კომპეტენტურობის დადასტურება. დადასტურება უნდა უზრუნველყოს უფლებამოსილმა წყარომ, რომელიც ამტკიცებს, რომ კომპეტენტურობა იყო განვითარებული და შენარჩუნებული საფუძვლიანი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. შეფასებამ ნათლად უნდა დაადგინოს შედეგი ან მიღწეული კომპეტენცია, რომელიც შეიძლება იყოს განვითარების სპეციფიკური სწავლების ან გაფართოებული პროგრამის შედეგი.
21. მტკიცებულება შესაძლოა იყოს მრავალფეროვანი. მტკიცებულების მაგალითებია:

    ა) ნაწერი ან გამოქვეყნებული მასალის შეფასება რეცენზენტის მიერ;

    ბ) პროფესიული სტატიის ან სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის პუბლიკაცია;

    გ) პერიოდული გამეორებითი გამოცდა;

    დ) პროფესიული ან სხვა კვალიფიკაცია; და სხვ.

**მონიტორინგი და სანქცია**

22. ბაფი ახორციელებს სისტემატიურ შემოწმებას პროფესიონალი ბუღალტრების მიერ პროფესიული განვითარების გაგრძელების მოთხოვნების შესრულებაზე და ადგენს შესაბამის სანქციას მოვალეობის შეუსრულებლობაზე.
23. შემოწმების მიზანია დადგინდეს თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ბაფ-ის წევრები პროფესიული კომპეტენციის განვითარებასა და შენარჩუნებას.
24. შემოწმება ემყარება ბაფის განათლების კომიტეტის ხელთარსებულ ინფორმაციას პროფესიონალი ბუღალტრის მიერ დასწრებაზე დაფუძნებული მიდგობით განგრძობითი სწავლებაში მონაწილეობის შესახებ ან პროფესიონალი ბუღალტრის მიერ წარდგენილ ანგარიშს შედეგზე დაფუძნებული მიდგომით პროფესიული განვითარების გაგრძელების შესახებ.
25. კონტროლის უზრუნველსაყოფად ბაფი პროფესიონალი ბუღალტრებისაგან მოითხოვს ანგარიშს პროფესიული განვითარების გაგრძელებასთან დამოკიდებულების შესახებ. ასეთი ანგარიშის წარდგენა არ ევალება პროფესიონალ ბურალტერს, რომელიც დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში მონაწილეობას იღებს ბაფის მიერ ორგენიზებულს სასწავლო სემინარში.
26. პროფესიული განვითარების გაგრძელებასთან დამოკიდებულების შესახებ ანგარიში ბაფს წარედგინება წელიწადში ერთხელ ყოველი კალენდარული წლის ბოლომდე.
27. სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელება მხოლოდ მაშინ მუშაობს ეფექტურად, როდესაც მოხდება სავალდებულო პროფესიული განვითარების აუცილებლობაში პროფესიონალი ბუღალტრის დარწმუნება, ან თუ პროფესიონალი ბუღალტერი არ ემორჩილება სავალდებულო მოთხოვნას, მის მიმართ გამოყენებული იქნება სანქცია.

28. სანქციის ზომად შესაძლოა გამოყენებული იქნეს სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი დაუმორჩილებელი პროფესიონალი ბუღალტრის დასახელება საერთო კრებაზე, შეტყობინება დამქირავებლისათვის, ინფორმაციის გამოქვეყნება და უკიდურეს შემთხვევაში ბაფიდან გარიცხვა.
29. სავალდებულო პროფესიული განვითარების გაგრძელებისადმი დაუმორჩილებელი პროფესიონალი ბუღალტრის მიმართ პირველი ნაბიჯი ითვალისწინებს მიმართვას გონივრულად დასაშვებ ვადაში სავალდებულო მოთხოვნისათვის დამორჩილების მოთხოვნით. აუცულებელია სიფრთხილის გამოჩენა ძალიან მკაცრი სანქციის მიღების დროს.
30. ბაფის წევრობიდან გარიცხვა შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ პროფესიონალი ბურალტრის მიმართ, რომელიც, ბაფის მიმართვის შემდეგ ისევ გააგრძელებს პროფესიული განვითარების ვალდებულების შესრულების იგნორირებას.

## განგრძობითი განათლების სტანდარტი

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს სტანდარტი, სერტიფიცირებული ბუღალტრის კვალიფიკაციის შენარჩუნებისთვის, განსაზღვრავს განგრძობითი განათლების პროგრამას და მისი განხორციელებისა და აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს.

**მუხლი 2. სტანდარტის სამართლებრივი საფუძვლები**

ეს სტანდარტი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონს (შემდგომ – კანონი) და შეესაბამება ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES).

**მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

1. ამ სტანდარტის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

**ა) სერტიფიცირებული ბუღალტერი** – ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს;

**ბ) განგრძობითი განათლება** – სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების შემდგომ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნების და განვითარების პროცესი;

**გ) განგრძობითი განათლების პროგრამა** – სასწავლო კურსების (სილაბუსების) ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლის ერთეულები (საათები), სასწავლო პროცესის განხორციელების თავისებურებები.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ სტანდარტის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება კანონითა და სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

**მუხლი 4. განგრძობითი განათლების მიზანი**

განგრძობითი განათლების მიზანია:

ა) სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნება და განვითარება, რომელიც საჭიროა პირის მიერ სათანადო პროფესიული მომსახურების გასაწევად და პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის ასამაღლებლად;

ბ) ახალი როლის შესასრულებლად საჭირო პროფესიული კომპეტენციის შეძენა და მათი განვითარება, რაც გამოიხატება ტექნიკური კომპეტენციის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში.

**მუხლი 5. განგრძობითი განათლების პროცესის წარმართვა**

1. განგრძობითი განათლების პროცესს უზრუნველყოფენ პროფესიული ორგანიზაციები.

2. პროფესიული ორგანიზაციები ვალდებული არიან, მონიტორინგი გაუწიონ თავიანთი წევრ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა განგრძობით განათლებას და აწარმოონ შესაბამისი აღრიცხვა.

3. პროფესიულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრის განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ პუნქტით გათვალისწინებული სისტემა გულისხმობს იმ პროცესების/პროცედურების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ამ სტანდარტით დადგენილი მიზნების მიღწევას.

4. განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებას და მის სამსახურის მიერ დადგენილ წესებთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებას უზრუნველყოფს სამსახური.

5. სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია ჩაერთოს სამსახურის მიერ აღიარებულ, სხვა პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი განათლების პროგრამაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია მის წევრ სერტიფიცირებულ ბუღალტერს, განგრძობითი განათლების გავლის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენის საფუძველზე, შესრულებულად ჩაუთვალოს შესაბამისი სწავლის ერთეული (საათი).

**მუხლი 6. განგრძობითი განათლების მოთხოვნა**

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია ყოველწლიურად აკმაყოფილებდეს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს და სერტიფიცირების შემდეგ ადასტურებდეს თავის კვალიფიკაციას.

2. სერტიფიცირებული ბუღალტერი, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია ყოველი 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 120 საათი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამწლიანი თანმიმდევრული პერიოდის ათვლა იწყება სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭების მომდევნო კალენდარული წლიდან.

4. სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია, 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე, ყოველ წელს გაიაროს, სულ მცირე, შემოწმებადი 30-საათიანი (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეული) განგრძობითი განათლება.

5. პროფესიული ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია გაზარდოს განგრძობითი განათლებისთვის სავალდებულო, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის ერთეულის რაოდენობა ყველა წევრის ან მათი ნაწილისათვის. საჭიროება შეიძლება გამომდინარეობდეს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის, დიაგნოსტიკური ანგარიშის ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიდან ან კანონმდებლობაში, სტანდარტებში ან აუდიტის სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, გავლილი საათების რაოდენობიდან 90 საათი უნდა იყოს შემოწმებადი, ხოლო 30 საათი არაშემოწმებადი, ამ სტანდარტის მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

7. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია მისი წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრისთვის უზრუნველყოს განგრძობითი განათლებისთვის საჭირო ინფორმაციის, და არსებობის შემთხვევაში, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა.

8. პროფესიული ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან ითანამშრომლონ განგრძობითი განათლების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, შესაფერისი გარემოს შექმნისა და მუდმივი გაუმჯობესებისათვის.

**მუხლი 7. განგრძობითი განათლების ფორმები**

1. განგრძობითი განათლების ფორმებია:

ა) შემოწმებადი განგრძობითი განათლება;

ბ) არაშემოწმებადი განგრძობითი განათლება.

2. შემოწმებადი განგრძობითი განათლებაა:

ა) პროფესიული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული განგრძობითი განათლების პროგრამებში მონაწილეობა;

ბ) სწავლა სამუშაო ადგილზე (აუდიტორული ფირმის პოლიტიკის ფარგლებში);

გ) პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კვლევა, პროფესიული, ტექნიკური ან აკადემიური სახის სტატიის/ნაშრომის გამოქვეყნება ან წიგნის გამოცემა;

დ) პროფესიული სასერტიფიკაციო გამოცდების განმეორებით ჩაბარება;

ე) ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტრული აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების ან/და ეკონომიკის მიმართულებით მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვება;

ვ) განგრძობითი განათლების პროგრამის სწავლებაში მონაწილეობა (ლექტორობა, ინსტრუქტორობა);

ზ) პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონფერენციებში მონაწილეობა.

3. არაშემოწმებადი განგრძობითი განათლებაა:

ა) პროფესიასთან დაკავშირებით ბრიფინგებზე ან შესაბამის განხილვებში მონაწილეობა;

ბ) პროფესიული ლიტერატურის ან ჟურნალების გაცნობა, რაც პიროვნებას დაეხმარება პროფესიული როლის შესრულებაში;

გ) პროფესიულ განვითარებაში დახმარება სხვა სერტიფიცირებული ბუღალტრისათვის ან პირიქით.

**მუხლი 8. განგრძობითი განათლების მიზნის მიღწევის შეფასება**

1. იმისათვის, რომ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ მიღწეულ იქნეს განგრძობითი განათლების მიზნები, პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს სწავლის შედეგზე დაფუძნებული მიდგომით. ამასთან, პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია ასევე გამოიყენოს დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომა.

2. სწავლის შედეგზე დაფუძნებული მიდგომის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია განგრძობითი განათლების მიზნის მიღწევის შეფასებისთვის ხელმძღვანელობს სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ წარდგენილი, შედეგის ამსახველი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს მიღწეულ და შენარჩუნებულ კომპეტენციას.

3. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია განგრძობითი განათლების მიზნის მიღწევის შეფასებისთვის ხელმძღვანელობს იმ სასწავლო ღონისძიებაზე დასწრებით, რომლის მოცულობა (სწავლის ერთეული) და შინაარსი წინასწარ განსაზღვრულია.

**მუხლი 9. სწავლის შედეგების დადასტურება**

1. როდესაც განგრძობითი განათლების მიზნები მიიღწევა სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომით, სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით უზრუნველყოფილი (კომპეტენტური პირის მიერ დადასტურებული) უნდა იყოს მიღწეული პროფესიული კომპეტენციის ნათლად იდენტიფიცირება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეიძლება იყოს:

ა) გამოქვეყნებული მასალის (ნაშრომის) რეცენზენტის მიერ შეფასება;

ბ) გამოცდის შედეგი;

გ) პროფესიული სტატიის ან სამეცნიერო კვლევის პროექტის შედეგების გამოქვეყნება;

დ) მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მიღება.

3. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის შეფასება ხდება სწავლების ღონისძიებაზე დახარჯული დროის მიხედვით.

4. დასწრებაზე დაფუძნებული მიდგომის დროს, დადასტურების მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი:

ა) პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები;

ბ) ჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ სწავლების ღონისძიებაზე/სასწავლო კურსზე დასწრებას;

გ) სწავლების პროცესში მონაწილე ინსტრუქტორის, დამსაქმებლის, ლექტორის მონაწილეობის დამადასტურებელი ინფორმაცია.

**მუხლი 10. განგრძობითი განათლების მოთხოვნების შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა**

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია პროფესიულ ორგანიზაციას, ყოველწლიურად, არაუგვიანეს მომდევნო წლის 31 იანვრისა წარუდგინოს ინფორმაცია განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულების შესახებ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის ელექტონულ ან/და მატერიალურ ფორმას ადგენს პროფესიული ორგანიზაცია.

2. იმ შემთხვევაში თუ სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ ვერ დასტურდება განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულება, პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსთხოვოს მას დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3. სერტიფიცირებულ ბუღალტერი, რომელიც განგრძობით განათლებას გაივლის პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების ფარგლებში ორგანიზებულ სასწავლო პროცესში, თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებისაგან.

**მუხლი 11. განგრძობითი განათლების მოთხოვნების ჩათვლა**

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია, მიიღოს განგრძობითი განათლების მოთხოვნის ჩათვლა:

ა) არაუმეტეს შემოწმებადი 30 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, სტუდენტის აქტიური სტატუსის პერიოდში ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში, ბიზნესის ადმინისტრირების, ბუღალტრული აღრიცხვის, მენეჯმენტის, ფინანსების ან/და ეკონომიკის მაგისტრის/დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის;

ბ) არაუმეტეს შემოწმებადი 30 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით ყოველწლიურად, პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების პროგრამის სწავლების პროცესში, განგრძობითი განათლების პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (თემატიკაში) ლექტორობით/ ინსტრუქტორობით;

გ) არაუმეტეს შემოწმებადი 40 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ გამოაქვეყნა ტექნიკური, პროფესიული ან აკადემიური ხასიათის სტატიები, სამეცნიერო ნაშრომი ან გამოსცა წიგნი ან ჩაატარა პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევა და რომლებიც შეფასებულია რეცენზენტის მიერ;

დ) არაუმეტეს 30 სწავლის ეკვივალენტური ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ განმეორებით ჩააბარა პროფესიული სასერტიფიკაციო გამოცდა;

ე) არაუმეტეს 10 სწავლის ერთეულის (საათის) ოდენობით, თუ პირი ადასტურებს პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონფერენციაში მონაწილეობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამოცდის განმეორებით ჩაბარება სერტიფიცირებულ ბუღალტერს განგრძობით განათლებად ჩაეთვლება, თუ ჩაბარებულ გამოცდებს შორის პერიოდი არანაკლებ 3 (სამი) წელია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დამადასტურებელ ცნობას გასცემს შესაბამისი პირი.

4. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისა, სერტიფიცირებული ბუღალტერი უფლებამოსილია პროფესიულ ორგანიზაციას მიმართოს დამსაქმებელ აუდიტორულ ფირმაში გავლილი სასწავლო ღონისძიებების ჩათვლის მოთხოვნით.

**მუხლი 12. აუდიტორულ ფირმაში გავლილი სასწავლო ღონისძიებების ჩათვლა**

1. პირი განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულების დადასტურებისათვის უფლებამოსილია პროფესიულ ორგანიზაციას წარუდგინოს დამსაქმებელ აუდიტორულ ფირმაში შესაბამისი სასწავლო ღონისძიებების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (სწავლის ერთეული (საათი), სასწავლო ღონისძიების დასახელება, ნომერი და შინაარსი).

2. პროფესიული ორგანიზაცია, უფლებამოსილია ჩაუთვალოს სერტიფიცირებულ ბუღალტერს სამუშაო ადგილზე (აუდიტორული ფირმის პოლიტიკის ფარგლებში) გავლილი სასწავლო ღონისძიებების (ტრენინგის, სემინარის, ელექტრონული სწავლების და ა.შ) შესაბამისი სწავლის ერთეული (საათი) განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესრულებად.

3. სასწავლო ღონისძიებების პოლიტიკა და პროცედურები აუდიტორული ფირმის შიდა კონტროლის სისტემის შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად უნდა იყოს დოკუმენტირებული.

**მუხლი 13. განგრძობითი განათლების გადავადება და შეჩერება**

1. სერტიფიცირებული ბუღალტერი, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებისა, უვადოდ ირიცხება პროფესიული ორგანიზაციის სერტიფიცირებული ბუღალტრის რეესტრში.

2. თუ სერტიფიცირებული ბუღალტერი მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ ასრულებს სავალდებულო განგრძობითი განათლების მოთხოვნებს, იგი უფლებამოსილია მიმართოს პროფესიულ ორგანიზაციას მიმდინარე წლის განგრძობითი განათლების სრულად გავლისათვის გასავლელი საათების არაუმეტეს მომავალი წლისთვის გადავადების მოთხოვნით და წარადგინოს შესაბამისი ცნობა/დოკუმენტაცია. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი რჩება პროფესიული ორგანიზაციის სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში და ექვემდებარება პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილ წესებს.

3. თუ პროფესიული ორგანიზაციის მიერ ამ სტანდარტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გამოვლინდა, რომ სერტიფიცირებული ბუღალტერი არ აკმაყოფილებს ამ სტანდარტის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს და არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული, მიმდინარე წლის გასავლელი საათების მომავალი წლისთვის გადავადების საფუძველი, პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პირის სერტიფიცირებული ბუღალტრის რეესტრიდან ამოღება.

4. პირი, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ამოღებულია სერტიფიცირებული ბუღალტრის რეესტრიდან, რეესტრში ასახვის მოთხოვნით უფლებამოსილია მიმართოს მისთვის სასურველ პროფესიულ ორგანიზაციას და წარუდგინოს არანაკლებ შეჩერებული პერიოდისათვის (კალენდარული წლისათვის) შესაბამისი განგრძობითი განათლების ან არაუმეტეს 120 საათის (ან მისი ეკვივალენტური სწავლის ერთეულის) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამ პუნქტის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია უფლებამოსილია ასახოს სერტიფიცირებული ბუღალტერი შესაბამის რეესტრში. პირი რეესტრში ასახვის შემდეგ ექვემდებარება პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილ წესებს.

**მუხლი 14. პროგრამების შედგენისათვის საჭირო კვლევა**

1. პროფესიული ორგანიზაცია საჭიროებისამებრ ატარებს კვლევას სერტიფიცირებული ბუღალტრის განგრძობითი განათლებისთვის საჭირო სასწავლო პროგრამების შედგენის მიზნით.

2. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია დამსწრეებისაგან სალექციო კურსის ბოლოს მიიღოს ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით შეფასება (მათ შორის სილაბუსის და ლექტორის შესახებ) და აღნიშნული გამოკითხვის შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი პროგრამების შედგენისათვის.

**მუხლი 15. განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარება**

1. პროფესიული ორგანიზაციის მიერ წარდგენილ განგრძობითი განათლების პროგრამას ამ სტანდარტთან შესაბამისობის საფუძველზე აღიარებს სამსახური.

2. განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების მიზნით, სამსახურს უნდა წარედგინოს განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს განგრძობითი განათლების პროგრამა.

3. განგრძობითი განათლების პროგრამაში, მისი განხორციელების პროცესში ან გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს ხარვეზ(ებ)ის აღმოფხვრა.

4. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრამდე წარუდგინოს სამსახურს განცხადება განახლებული განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების მოთხოვნით.

5. პროფესიული ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროგრამის ამ სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სამსახური უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესში ჩართოს შესაბამისი სფეროს ექსპერტები.

**მუხლი 16. განგრძობითი განათლების პროგრამა**

1. განგრძობითი განათლების პროგრამამ უნდა მოიცვას სიახლეები, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ბ) ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC);

გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტები;

დ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები;

ე) საგადასახადო, ბიზნეს კანონმდებლობა და სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, პროგრამის სასწავლო თემატიკა უნდა შეივსოს აუდიტორების/გარიგების პარტნიორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების, დიაგნოსტიკური ანგარიშის,

კვლევის შედეგების და ეკონომიკურ გარემოში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით.

3. სასწავლო კურსის სილაბუსი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სასწავლო პროგრამის დასახელება და ნომერი;

ბ) სასწავლო კურსის თემატიკა (დეტალურად);

გ) პროგრამის სწავლების ფორმატი;

დ) სწავლის შედეგები;

ე) სასწავლო კურსის მიზანი;

ვ) სწავლის ერთეულის ოდენობა (საათები);

ზ) სასწავლო ლიტერატურა და სხვა რესურსები;

თ) სწავლების ენა;

ი) პროგრამის ავტორი.

4. განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ სრული ინფორმაცია, არსებობის შემთხვევაში სასწავლო ლიტერატურა და სხვა რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსმენელისათვის პროგრამის დაწყებამდე.

**მუხლი 17. სასწავლო პროცესის ორგანიზება**

1. პროფესიული ორგანიზაციის მიერ განგრძობითი განათლების ფარგლებში ორგანიზებული სასწავლო პროცესი უნდა ტარდებოდეს ლექციებისა და პრაქტიკული მაგალითების განხილვით, ლექციის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ერთ საათზე ნაკლები.

2. სასწავლო პროგრამას უნდა ადგენდნენ და ლექციებს უძღვებოდნენ მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიული რეპუტაციის მქონე ინსტრუქტორები/ექსპერტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საგნის/თემატიკის სიღრმისეული ცოდნა და საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება.

3. სალექციო პროცესი უნდა იყოს ინტერაქტიული − ლექტორი/ ინსტრუქტორი/ექსპერტი ნათლად უნდა ახდენდეს პროგრამის შინაარსის პრეზენტაციას და მსმენელს უნდა ჰქონდეს კითხვის დასმის და შესაბამისად პასუხის მიღების საშუალება.

4. სასწავლო გარემო უნდა იყოს სწავლისათვის შესაფერისი და უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს. აუდიტორიები უნდა იყოს აღჭურვილი როგორც საპრეზენტაციო ტექნიკით, ასევე სხვა საჭირო ინვენტარით.

5. ლექციაზე დასწრების ჩანაწერების წარმოება და მათი დადასტურების მიზნით 6 წლის ვადით შენახვა სავალდებულოა.

6. სამსახურის წარმომადგენელი მსმენელთა დასწრების მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით უფლებამოსილია დაესწროს პროფესიული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ჩატარებულ ლექციებს.

**მუხლი 18. რეესტრი**

1. განგრძობითი განათლების პროგრამების რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს სამსახური.

2. რეესტრში რეგისტრაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამებს ენიჭებათ ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი.

3. აღიარებული პროგრამების შესახებ რეესტრში უნდა იყოს ინფორმაცია:

ა) იმ პირის სამართლებრივი ფორმის, სახელწოდების, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის, ვებგვერდის მისამართის, საკონტაქტო ინფორმაციის და საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ, რომლის პროგრამებიც აღიარებულია;

ბ) პროგრამის დასახელება, აღიარების თარიღი და მოქმედების პერიოდი.

**მუხლი 19. პროგრამის გასაჯაროება**

ის პირი, რომლის განგრძობითი განათლების პროგრამა აღიარებულია სამსახურის მიერ, ვალდებულია თავის საიტზე განათავსოს აღიარებული პროგრამა.

განათლების კომიტეტის

თავმჯდომარე: კ. დათიაშვილი